




შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია



თავი 1.

1.1. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის (შემდგომში-„კოლეჯი“) შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია განსაზღვრავს და არეგულირებს კოლეჯში, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფის პროცედურებს; არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.

1.2. კოლეჯის უსაფრთხოება მოიცავს:

1.2.1. კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შრომითი უსაფრთხოების დაცვას;

1.2.2. კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების უფლების დაცვას;

1.2.3. კოლეჯის სახანძრო უსაფრთხოების დაცვას.

თავი 2.

2.1. კოლეჯი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხელმძღვანელობს შემდეგი საკანონმდებლო აქტებითა და შიდა რეგულაციებით:

2.1.1. საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“;

2.1.2. საქართველოს მთავრობის დადგენილება „№370 - სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

2.1.3. საქართველოს კანონი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“;

2.1.4. საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №28/ნ;

2.1.5. „საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქცია“;

2.1.6. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის შინაგანაწესი.

2.1.7. ხანძასაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებით.

2.1.8. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული-საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით.

2.2. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია კოლეჯის შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელი.

თავი 3.

3.1. შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელი არის კოლეჯის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯში დასაქმებული პერსონალის შრომით უსაფრთხოებას.

3.2. სტრუქტურული ერთეული თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, კოლეჯის თანამდებობრივი ინსტრუქცია დებულების, კოლეჯის ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესის შესაბამისად.

3.3. შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობებია:

3.3.1. კოლეჯში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

3.3.2. დასაქმებულთა კონსულტირება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე;

3.3.3. დასაქმებულთა სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის (ტაბელის) წარმოება.

- 3.3.4. კოლეჯის შენობა-ნაგებობების უზრუნველყოფა გამაფრთხილებელი ნიშნებით;
- 3.3.5. სახანძრო ინსტრუქციების შემუშავებასა და იმიტაციების ჩატარება ყოველწლიურად;
- 3.3.6. კონკრეტულ სამუშაო ადგილებზე სამუშაო პირობების შესწავლის ორგანიზება;
- 3.3.7. საევაკუაციო გეგმებისა და სათადარიგო საევაკუაციო გასასვლელების კონტროლი;
- 3.3.8. საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული, შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფა და კონტროლი;
- 3.3.9. მონაწილეობა დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/განახლება/განხორციელებაში, გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშგებაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
- 3.3.10. კომპეტენციის ფარგლებში დირექტორის სხვა დავალებათა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებათა შესრულება.

თავი 4.

- 4.1. სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელი თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმოს და შეაფასოს სამუშაო გარემოს შემდეგი ფაქტორები:
 - 4.1.1. ფიზიკური ფაქტორები (ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, განათება, ელექტრომაგნიტური სხვა);
 - 4.1.2. ქიმიური ფაქტორები (პრეპარატები ან/და ნივთიერებები);
 - 4.1.3. ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დასაქმებულის ან სხვა პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და გამოიწვიოს ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება.
- 4.2. შრომის უსაფრთხოების სისტემის სწორად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ალკოჰოლი და ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენების კონტროლი.
- 4.3. პერსონალი ვალდებულია სამუშაოს დაწყებამდე წარმოადგინოს ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ნასამართლეობის შესახებ;
- 4.4. შრომის უსაფრთხოების დაცვისთვის მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილის მუდმივი მოვლა დასუფთავება, რაც თავისთავად ამცირებს წაბორძოკების, მოსრიალების, დაცემის, საგნების ვარდნის და ხანძრის რისკს.

თავი 5.

- 5.1. უსაფრთხოების ნიშნები უნდა იყოს თვალსაჩინო და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი, მისი დაზიანება ან უნებართვოდ მოხსნა აკრძალულია.
- 5.2. მისი განთავსება უნდა მოხდეს შესაბამისი სამუშაოების თუ საფრთხის გათვალისწინებით.
- 5.3. ყველა დასაქმებულს და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია თუ რას განსაზღვრავს მოცემული ნიშნები და ვალდებულნი არიან დაემორჩილონ მას.
- 5.4. უსაფრთხოების ნიშნების ტიპებია:
 - 5.4.1. ამკრძალავი - აჩვენებს რომ გარკვეული მოქმედებები აკრძალულია (მრგვალი თეთრი ფონზე და წითელი წრით)
 - 5.4.2. მიმართითბელი ნიშნები - ატყობინებს ვალდებულებების შესახებ, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ. (მრგვალი ნაცრისფერი ან ლურჯი)
 - 5.4.3. მაფრთხილებელი ნიშნები - გვამღევეს რისკების შესახებ ინფორმაციას, რომლებსაც შეიძლება წააწყდნენ სამუშაო სივრცეში მყოფი პირები (სამკუთხედი ყვითელი ფონითა და შავი კანტით)

- 5.4.4. უსაფრთხოების უზრუნველყოფელი ნიშნები - მოწყობილობების არსებობა, საევაკუაციო გზები, უსაფრთხოების პუნქტების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას (მართკუთხა მწვანე)
- 5.4.5. ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების ნიშნები - მოწყობილობების არსებობა ან ადგილები, რომლებიც ცეცხლსაშიშია (მართკუთხედი წითელი)

თავი 6.

- 6.1. კოლეჯის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება.
- 6.2. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯში ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.
- 6.3. თითოეული თანამშრომელი და სტუდენტი/მსმენელი ხანძრის ან წვის ნიშნების (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის, ტემპერატურის აწევის და ა.შ.) აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია:
- 6.3.1. დატოვოს შენობა ან შეეცადოს ჩააქროთ ცეცხლი. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს საევაკუაციო გასასვლელით.
- 6.4. თუ გადაწყვეტთ არ დატოვოთ შენობა და თავად შეებრძოლოთ ცეცხლს მაშინ აუცილებელია დაიცვათ შემდეგი მოთხოვნები:
- 6.4.1. თუ თვლით, რომ ცეცხლთან გამკლავება ძნელი იქნება ცეცხლის ჩაქრობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დარეკოთ სახანძროში.
- 6.4.2. უნდა იცოდეთ ცეცხლმაქრის გამოყენების წესები. წესების არცოდნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა.
- 6.4.3. აუცილებლად უნდა შეამოწმოთ არის თუ არა ცეცხლმაქრი სავსე.
- 6.5. შრომის უსაფრთხოების სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში კოლეჯის პერსონალი და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ დატოვონ შენობა.
- 6.6. თუ ხანძრის დროს ვერ ახერხებთ შენობიდან გამოსვლას:
- 6.6.1. შედით ყველაზე უსაფრთხო ოთახში, დაკეტეთ კარები და კარებთან დააფინეთ სველი ტილო ან სხვა ნაჭერი ისე, რომ მაქსიმალურად შეზღუდოთ ოთახში კვამლის შემოსვლა.
- 6.6.2. თუ თქვენსა და ცეცხლის კერას შორის არის ერთი ან რამდენიმე კარები, აუცილებლად დაკეტეთ აღნიშნული კარებები.
- 6.6.3. იყავით მზად იმისათვის, რომ მოვლენ თქვენს დასახმარებლად და ყური დაუგდეთ შესაბამის სიგნალს.
- 6.6.4. თუ კვამლმა შემოაღწია ოთახში, დაწეით იატაკზე, ისუნთქეთ მხოლოდ ცხვირით და სუნთქვისას აიფარეთ ცხვირსახოცი ან სხვა ნაჭერი.
- 6.6.5. თუ გადაწყვიტეთ გაიაროთ ცეცხლმოკიდებულ ტერიტორიაზე, აუცილებლად დაიფარეთ წინასწარ თავი და თმები, შეიკავეთ სუნთქვა და იმოდრავით შეძლებისდაგვარად სწრაფად მოძრაობისას ეცადეთ მაქსიმალურად დახუჭოთ თვალები.
- 6.7. პერსონალის შშმ წარმომადგენლები და შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტები/მსმენელები აუცილებლად უნდა გავიდნენ ყველაზე უსაფრთხო ოთახში და დაელოდონ დახმარებას.
- 6.8. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით. საევაკუაციო გეგმა საჯაროდ განთავსებულია დაწესებულების შენობის 11 (თერთმეტ) წერტილში, ხოლო ცეცხლმაქრები და მათი გამოყენების ინსტრუქცია - შენობის 10 (ათ) წერტილში.
- 6.9. ევაკუაციის დროს თანამშრომელთა და პასუხისმგებელ პირთა მოვალეობებია:
- 6.9.1. გამორთეთ ყველა ელექტრონული მოწყობილობა (კომპიუტერები, პრინტერები, ქსეროქსები, ჩაიდანი და ა.შ.) კონდიციონერები და ოფისის განათება;
- 6.9.2. შეინახეთ მაგიდაზე არსებული ყველა ქაღალდი;

- 6.9.3.გამოსვლის დროს დახურეთ ფანჯრები და კარები;
 - 6.9.4.გამორთეთ ყველა საწარმოო დანადგარი;
 - 6.9.5.გაემართეთ შეკრების ადგილისკენ და მისვლისთანავე დაფიქსირდით.
 - 6.9.6.გამორთეთ შენობის გათბობა;
 - 6.9.7.გადაკეტეთ შენობაში გაზის მიწოდება;
 - 6.9.8.გამორთეთ შენობაში ელექტრო ენერჯის მიწოდება;
- 6.10. ევაკუაციის დროს პრობლემების წარმოქმნისას, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს შენობის დაცვის თანამშრომლის საქმის ყურში ჩაყენება;

თავი 7.

- 7.1. აუცილებელია კოლეჯში საევაკუაციო ვარჯიშის ჩატარება.
- 7.2. საევაკუაციო ვარჯიში ზოგადად მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
- 7.2.1. თანამშრომლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების შემუშავება;
 - 7.2.2. ევაკუაციის უზრუნველყოფის პერსონალის მოქმედების ინსტრუქციის შემუშავება და შესაბამისი ინსტრუქტაჟის ჩატარება;
 - 7.2.3. ინსტრუქტაჟის ჩატარების აღრიცხვის უზრუნველყოფა და სხვა ევაკუაციის უზრუნველყოფი დოკუმენტაციის მომზადება;
 - 7.2.4. თავშეყრის ადგილის კოორდინატორის, ვარჯიშზე დამკვირვებლისა და სახანძრო კოორდინატორის განსაზღვრა;
 - 7.2.5. ცეცხლმაქრებისა და გასასვლელების ინსპექტირების ორგანიზება, რათა დარწმუნდნენ რომ ისინი შეესაბამებიან საქართველოს მთავრობის დადგენილება #370 -ს „ტექნიკური რეგლამენტი სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მოთხოვნებს;
 - 7.2.6. თანამშრომლებისათვის ცეცხლმაქრის გამოყენების ტექნიკის შესწავლა;
 - 7.2.7. თეორიულ საევაკუაციო სწავლების ჩატარება თანამშრომლებისათვის და მათთვის თავშეყრის ადგილის გაცნობა;
- 7.3. ევაკუაციის ვარჯიშის განხორციელების ყველა პროცედურის სიმულაცია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
- 7.3.1. განგაშის გამოცხადება (ამ დროს შეიძლება განგაშის გამოცხადების სისტემის გამოცდა);
 - 7.3.2. შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელი, სახანძრო კოორდინატორი და თავშეყრის ადგილის კოორდინატორი იკავებენ თავიანთ ადგილებს;
 - 7.3.3. სახანძრო კოორდინატორები ჩაატარებენ საკუთარი პასუხისმგებლობის ზონების დათვალიერების სიმულაციას, მივლენ თავშეყრის ადგილზე, დარეგისტრირდებიან თავშეყრის ადგილის კოორდინატორთან და გადასცემენ მას აუცილებელ ინფორმაციას:
 - 7.3.3.1. შეამოწმეს თუ არა პასუხისმგებლობის ზონა მთლიანად;
 - 7.3.3.2. დარჩა თუ არა ადამიანი შენობაში და მისი ადგილმდებარეობა.
- 7.4. თავშეყრის ადგილის კოორდინატორი მოახდენს თანამშრომელთა რეგისტრაციის სიმულაციას, დაადგენს არ გამოცხადებულთა არყოფნის მიზეზებს და შედეგებს მოახსენებს კოლეჯის ხელმძღვანელს და შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელს
- 7.5. შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელი სახანძრო კოორდინატორი მოახდენს სახანძრო რაზმის დახვედრის და ინფორმაციის გადაცემის სიმულაციას:
- 7.5.1. გადასცემს შენობის ევაკუაციის გეგმას;
 - 7.5.2. დარჩა თუ არა შენობაში ვინმე და სად იმყოფებიან ისინი;
 - 7.5.3. სად გაჩნდა ხანძარი, რა იწვის/ხანძრის კლასი;
 - 7.5.4. შენობაში ხანძარსაშიში და ფეთქებადსაშიში ნივთიერებების და მათი ადგილმდებარეობის შესახებ.
- 7.6. ვარჯიშის დროს კოლეჯის დირექტორი დამოუკიდებლად ირჩევს თავის ადგილს, საიდანაც იგი ეფექტურად განახორციელებს ევაკუაციის მიმდინარეობის ხელმძღვანელობას. მას თან უნდა ჰქონდეს ყველა აუცილებელი საკონტაქტო ინფორმაცია, რომ განახორციელოს ეფექტური კოორდინაცია:
- 7.6.1. უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან და შენობის სახანძრო კოორდინატორთან;

- 7.6.2. თავშეყრის ადგილის კოორდინატორთან, დაცვასთან;
- 7.6.3. შენობის ელექტრო ენერგიით, გაზით მომარაგებაზე პასუხისმგებელ პირებთან;
- 7.6.4. პოლიციასთან და სახანძრო რაზმთან;
- 7.6.5. სასწრაფო სამედიცინო დახმარებასთან.

7.7. ევაკუაციის დამთავრებისთანავე კოლეჯის დირექტორი უნდა გამოცხადდეს თავშეყრის ადგილზე, დარეგისტრირდეს, მიიღოს ინფორმაცია ყველა პასუხისმგებელი პირისგან და გააკონტროლოს თავშეყრის ადგილი;

7.8. ყველა საჭირო ინფორმაციის მიღების და დამუშავების შემდეგ კოლეჯის დირექტორი ამზადებს ინფორმაციას;

7.9. თავშეყრის ადგილი წარმოადგენს ხელმძღვანელობისათვის იმპროვიზებულ მართვის ცენტრს, სადაც გროვდება ყველა ინფორმაცია, ხდება კოლეჯის აუცილებელი ფუნქციონირების გეგმების ამოქმედება და გადაწყვეტილებების მიღება.

7.10. შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელი:

- 7.10.1. ეხმარება სახანძრო კოორდინატორებს შენობის ევაკუაციაში და მიმართავს თანამშრომლებს თავშეყრის ადგილისკენ;
- 7.10.2. ადგენს ხანძრის გაჩენის ადგილს და შესაძლო მიზეზებს;
- 7.10.3. ყურადღებას აქცევს, რომ თანამშრომლებმა არ დაიკავონ სახანძრო რაზმის მისასვლელი გზები და მიმართოს სატრანსპორტო მოძრაობა, რათა დაცულნი იყვნენ სიტუაციაზე რეაგირების პირები და ევაკუირებული თანამშრომლები;
- 7.10.4. მიმართავს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებს და მავნებულთა ადგილ მდებარეობისაკენ;
- 7.10.5. უზრუნველყოფს კომუნიკაციას სახანძრო რაზმსა და კოლეჯს შორის;

7.11. შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელი უზრუნველყოფს კრიზისული სიტუაციების განვითარების გათვალისწინებით კოლეჯის დირექტორსა და თანამშრომლებს განახლებული ინფორმაცია მიაწოდოს;

- 7.11.1. სახანძრო რაზმის უფროსისაგან იღებს ინფორმაციას როდის არის შენობა უსაფრთხო;
- 7.11.2. კოლეჯის დირექტორთან შეთანხმებით თანამშრომლებს აცნობებს, რომ შენობა უსაფრთხოა და შეუძლიათ დაუბრუნდნენ თავიანთ სამუშაო ადგილებს.

7.12. ვარჯიშის ჩატარების შემდგომ კოლეჯის დირექტორი იწვევს ევაკუაციაზე პასუხისმგებელ პირებს და:

- 7.12.1. განიხილავენ ვარჯიშის დამკვირვებლის მოხსენება;
- 7.12.2. აღინიშნავენ დაშვებულ შეცდომებს;
- 7.12.3. დგება შეცდომების გამოსწორების გეგმა;
- 7.12.4. დგება შემდგომი ვარჯიშის ჩატარების თარიღი.

7.13. შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლის მიერ ივსება კითხვარი და წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

შემოწმების ზონა:	თარიღი: ____/____/____
შემმოწმებელი:	

ცეცხლმაქრები	დიახ	არა
არის თუ არა ყველა ცეცხლმაქრი თავის ადგილზე და მზად გამოსაყენებლად		
არის თუ არა ყველა ლუქი ადგილზე		

არის თუ არა ცეცხლმაქრის ადგილმდებარეობის წარწერა/ნიშანი გამოკრული		
ევაკუაციის საშუალებები	დიახ	არა
არის თუ არა ყველა გასასვლელი თავისუფალი და დასუფთავებული		
არის თუ არა ყველა გასასვლელი ადვილად გარჩევადი შესაფერისი წარწერით		
მუშაობს თუ არა ყველა გასასვლელი კარი გამართულად		
არის თუ არა შენობიდან ყველა გასასვლელი თავისუფალი შიგნიდან და გარედან		
სახანძრო მოქმედებების წარწერები	დიახ	არა
გამოკრულია თუ არა საკმარისი წარწერები სახანძრო მოქმედებების შესახებ		
არის თუ არა ყველა წარწერა გასაგები და ადვილად აღქმადი		
სახანძრო განგაშის სისტემა	დიახ	არა
ადვილად მისადგომია თუ არა ხანძრის განგაშის ლილაკი		
არის თუ არა განგაშის სისტემა მზად ასამოქმედებლად		
ელექტროობა	დიახ	არა

გაყვანილობა არასწორად ხომ არ არის გამოყენებული, ხომ არ არის გადატვირთული		
ხომ არ იყენებენ ღია ცეცხლის გამათბობლებს		
სადენები, ჩანგლები, როზეტები და იზოლაცია ხომ არ არის დაზიანებული		
საფრთხის კონტროლი	დიახ	არა
გამოკრულია თუ არა მანიშნებელი „მოწვევა აკრძალულია“ - იქ სადაც ამის საჭიროებაა		
სწრაფად აალებადი და ფეთქებადი ნივთიერებები დასაწყობებულია სწორად		
სწორად კონტროლდება თუ არა აალების წყარო		
არის თუ არა შესაბამისი წარწერები სახიფათო ნარჩენების შესახებ ადგილზე		

სისუფთავის დაცვა	დიახ	არა
ხომ არ გროვდება ნაგავი ოფისში, კორიდორებში და სხვა მიმდებარე ტერიტორიაზე		
აკრძალულია თუ არა წვადი მასალების დაგროვება		
ჩამოხსნილია თუ არა ყველა არასაჭირო, დროებითი წარწერა		
რეგულარულად გააქვთ თუ არა ნაგავი და გამოუყენებელი ქაღალდი		

შენიშვნები:

შემოწმება ჩატარებულია:

ხელმოწერა: _____

თარიღი: ____/____/____

აღმოჩენილი შეუთავსებლობა გამოსწორებულია:

ხელმოწერა: _____

თარიღი: ____/____/____

თავი 8.

8.1.ქიმიური ნივთიერებებია -ნივთიერებები და მათი ნაერთები ბუნებრივი სახით ან მიღებული ნებისმიერი ტექნოლოგიური პროცესის შედეგად,პროდუქტის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის საჭირო ნებისმიერ დანამატთან და გამოყენებული ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებულ ყველა

მინარევთან ერთად გამხსნელის გარდა, რომელიც გამოიყოფა ნივთიერების სტაბილურობისა და შემადგენლობის შეცვლის გარეშე.

8.2. პრეპარატებია ნარევები ან ხსნარები რომელიც შედგება ორი ან მეტი ნივთიერებისგან.

8.3. საშიში ქიმიური ნივთიერებებია ნივთიერებები და პრეპარატები რომლებიც მავნე ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, და მიეკუთვნებიან ტოქსიკურობისა და საშიშროების კლასებს.

8.4. საშიში ქიმიური ნივთიერება ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მიხედვით:

8.4.1. ფეთქებადი ნივთიერებები და პრეპარატები E explosive

8.4.2. დამჟანგავი ნივთიერებები და პრეპარატები O oxidizing

8.4.3. უკიდურესად აალებადი F+ extremely flammable

8.4.4. ძლიერ ტოქსიკური T+ very toxic

8.4.5. ტოქსიკური T toxic

8.4.6. მავნე Xn harmful

8.4.7. კოროზიული C corrosive

8.4.8. გამაღიზიანებელი X irritant

8.4.9. მასენსიბიზებელი R42 და/ან R43 sensitizing

8.4.10. კანცეროგენური Cart. carcinogenic

8.5. საშიში ქიმიური ნივთიერება უნდა ინახებოდეს იმ წესით, რომელიც უზრუნველყოფს ნივთიერების სამომხმარებლო თვისებების შენარჩუნებას და გამორიცხავს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზემოქმედებას და ავარიებს.

თავი 9.

9.1. კოლეჯი თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულია დაიცვას გარემოს უსაფრთხოება და დასაქმებულს, პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს შეუქმნას უსაფრთხო სამუშაო დაცული სასწავლო გარემო.

9.2. ელექტროდენით დაზიანების თავიდან აცილებისათვის საჭიროა

9.1.1. არ შეეხოთ კომპიუტერის ეკრანს და ბლოკის ზურგის მხარეს;

9.1.2. აკრძალულია კომპიუტერთან და პერიფერიულ მოწყობილობებთან მუშაობა სველი ხელებით;

9.1.3. აკრძალულია მუშაობა კომპიუტერულ მოწყობილობასთან, რომელსაც დარღვეული აქვს კორპუსის მთლიანობა, სადენების იზოლაცია;

9.1.4. აკრძალულია ელექტროქსელში ჩართულ პრინტერზე კარტრიჯის შეცვლა;

9.1.5. ყველა ელექტრომოწყობილობა გამოყენებულ და დაინსტალირებულ იქნას მწარმოებლის ინსტრუქციის თანახმად;

თავი 10.

10.1. შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელი იღებს პასუხისმგებლობას და უზრუნველყოფს დასაქმებულთა სწავლებასა და ინსტრუქტაჟების ჩატარებას მათთვის გასაგებ ენაზე.

10.2. სწავლება/ინსტრუქტაჟი ტარდება სამუშაო საათებში. ტრენინგებისთვის გაცდენილი დღეები საპატიოდ ითვლება და ანაზღაურდება დამსაქმებლის მიერ, სამუშაო საათების პროპორციულად. სწავლება დასაქმებულ პირებს უტარდებათ უფასოდ.

10.3. ტრენინგებზე დასწრება სავალდებულოა და მკაცრად კონტროლდება.

10.4. ტრენინგის ბოლოს შესაძლებელია ტესტირება ან/და ზეპირი გამოკითხვა რათა შეფასდეს თუ რამდენად სწორად მოხდა ინფორმაციის გადაცემა და გაგება.

10.5. ტრენინგის დასრულების მერე უნდა მოხდეს ტრენინგის შეფასება ანონიმურობის დაცვით, რათა ხარვეზების შემთხვევაში მოხდეს მათი აღმოფხვრა.

თავი 11.

11.1. წინამდებარე ინსტრუქციას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, ბრძანებით, შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლის წარდგინებით.

11.2. წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების განხორციელება შესაძლებელია დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

11.3. კოლეჯის დირექტორი და შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელი პასუხისმგებელია ამ ინსტრუქციის განხორციელებასა და უსაფრთხოების მიზნების მიღწევაზე.

11.4. ის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ინსტრუქციით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.